საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-03/2190
15/02/2022

2190-2-03-2-202202150938

შპს „თბილისი ჰესის“
დირექტორს **რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკის**

ბატონო **რადოსლავ,**

თქვენი 14 დეკემბრის 2021 წლის N29/21 და 29 ნოემბრის N 24/21 წერილების პასუხად, რომელიც შეეხება 20,2 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „თბილისი ჰესი“-ს მშენებლობას მდ. მტკვარზე, რომელიც მოითხოვს ქვემო ფონიჭალის დასახლებაში არსებული გზის მიწის ვაკისის გადატანისათვის საჭირო ტექნიკური პირობების შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილების შესაბამისად, ფონიჭალის დასახლებაში არსებული გადასატანი საავტომობილო გზა არ ირიცხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე, შესაბამისად საკითხის განხილვა სცილდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფლებამოსილებას.

ვინაიდან აღნიშნული გზა ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ს/გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთს, რომლის მშენებლობას ახორციელებს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“, ამიტომ აუცილებელია ზემოაღნიშნული საკითხი შეთანხმდეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge